

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქსზვიტარიძე, გ.ქარსელაძე, ი.სიგუა,
ე.ელერდაშვილი, მ.ხშიადაშვილი, ზ.თედიაშვილი

მათემატიკა ეკონომისტებისათვის

(ამოცანათა კრებული)

ნაწილი II

დამტკიცებულია სტუ-ს
სასწავლო-მეთოდური
საბჭოს მიერ

თბილისი

2005

უაკ

წიგნი წარმოადგენს მათემატიკის პრაქტიკული სავარჯიშო-ებისა და ამოცანების კრებულს, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური და საბანკო-საფინანსო პროფილის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. შინაარსობრივად და სტრუქტურულად იგი სრულ შესაბამისობაშია ამჟამად მოქმედ, განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოსთან “მათემატიკა ეკონომისტებისათვის” (თბილისი, გლობალ-პრინტი, 1999).

რედაქტორი: პროფესორი დ. ნატროშვილი

რეცენზენტები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დ. ნატროშვილი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ა. გაგნიძე

© გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2005

ISBN

**მარყინალური ფუნქციები. ფუნქციის
წარმოებული. დიფერენციალი. ფუნქციის
სრული გამოკვლევა**

7.1. წარმოებულის განმარტების გამოყენებით იპოვეთ შემდე-
გი ფუნქციის წარმოებული:

1) $f(x) = x^2$;

2) $f(x) = x^3$;

3) $f(x) = 2^x$;

4) $f(x) = e^x$;

5) $f(x) = -4x^2 + 1$;

6) $f(x) = (2x + 3)^2$.

7.2. შექცეული ფუნქციის გაწარმოების წესის გამოყენებით
იპოვეთ შემდეგი ფუნქციების წარმოებულები:

1) $y = \operatorname{arctg} x$;

2) $y = \ln x$;

3) $y = \operatorname{arcsin} x$.

7.3. რთული ფუნქციის გაწარმოების წესის გამოყენებით გა-
მოთვალეთ ფუნქციის წარმოებული:

1) $x^x \quad (x > 0)$;

$$2) x^{\sin x} \quad (x > 0);$$

$$3) x^{\ln x} \quad (x > 0).$$

7.4. იპოვეთ კუთხე, რომელსაც ქმნის $f(x) = x^2$ ფუნქციის გრაფიკის $M\left(\frac{1}{2}; \frac{1}{4}\right)$ წერტილზე გამავალი მხები აბსცისათა ღერძის დადებით მიმართულებასთან.

7.5. იპოვეთ კუთხე, რომელსაც ქმნის $f(x) = \sqrt{3}x^3$ ფუნქციის გრაფიკის $M\left(\frac{1}{3}; \frac{\sqrt{3}}{27}\right)$ წერტილზე გამავალი მხები აბსცისათა ღერძის დადებით მიმართულებასთან.

7.6. იპოვეთ $y = x^2 - 2x + 12$ ფუნქციის გრაფიკის $M(1; 2)$ წერტილზე გამავალი მხების კუთხური კოეფიციენტი.

7.7. გამოთვალეთ არგუმენტის Δx ნაზრდი და ფუნქციის Δy ნაზრდი $y = x^2 - 2x + 3$ ფუნქციისათვის, თუ x იცვლება:

ა) 1-დან 4-მდე;

ბ) 5-დან 3-მდე;

გ) 0-დან 1-მდე.

7.8. იპოვეთ $f(x)$ ფუნქციის ნაზარდი x წერტილში, თუ არგუმენტის ნაზრდია Δx :

ა) $f(x) = x^3$;

ბ) $f(x) = \sqrt{x} + 1$;

გ) $f(x) = \frac{2}{x-1}$.

7.9. გაწარმოების წესებისა და ძირითადი ელემენტარული ფუნქციების წარმოებულების ცხრილის გამოყენებით იპოვეთ წარმოებულები:

$$1) y = x^3 - 2x^2 + 4;$$

$$2) y = x^5 - x^3 + 3x^2 - 2;$$

$$3) y = \frac{2}{6}x^6 - \frac{3}{4}x^4 + 2x;$$

- 4) $y = \frac{1}{4}x^4 - \frac{x^2}{2} + 7;$
- 5) $y = x^2 + 2^x + 3\sqrt{x};$
- 6) $y = 2\sqrt{x} - \sqrt[3]{x^2} - x;$
- 7) $y = 2x^{\frac{3}{2}} - 3x^{\frac{4}{3}} + 4x^{\frac{5}{4}};$
- 8) $y = 3x^{\frac{5}{3}} + 4x^{\frac{7}{4}} - 5x^{\frac{8}{5}};$
- 9) $y = \frac{1}{x} + \frac{1}{x^2} - \frac{1}{x^3};$
- 10) $y = \frac{2}{x^{3/2}} + \frac{4}{x^{5/4}} - \frac{6}{x^{7/6}};$
- 11) $y = 2 \sin x + 6 \cos x + x;$
- 12) $y = 4 \operatorname{tg} x + 5 \operatorname{ctg} x + 1;$
- 13) $y = 4^x + 3 \cdot 2^x;$
- 14) $y = 6 \ln x + 7e^x;$
- 15) $y = 3 \arcsin x - 4 \arccos x;$
- 16) $y = 6 \operatorname{arctg} x - 7 \operatorname{arcctg} x;$
- 17) $y = (2x^2 + x) \sin x;$
- 18) $y = (3x^3 + 2x) \cos x;$
- 19) $y = (x^4 + 2x^3) \ln x;$
- 20) $y = e^x \sin x;$
- 21) $y = 5^x \cos x + \ln 5;$
- 22) $y = 3^x \ln x + \ln 3;$
- 23) $y = \ln x \sin x;$
- 24) $y = \cos x \operatorname{tg} x;$
- 25) $y = x \arcsin x;$

26) $y = \sqrt{x} \log_2 x;$

27) $y = x^3 3^x;$

28) $y = (\sin x + \cos x) 2^x;$

29) $y = \frac{x+1}{x-2};$

30) $y = \frac{x+3}{x^2+1};$

31) $y = \frac{x}{1-x^2};$

32) $y = \frac{x^2}{3^x};$

33) $y = \frac{2^x}{\sin x};$

34) $y = \frac{3x^2 + x - 1}{x};$

35) $y = \frac{x^3 - 2x + 1}{e^x};$

36) $y = \frac{\sin x}{e^x};$

37) $y = \frac{\sin x + \cos x}{\sin x - \cos x};$

38) $y = \frac{e^x - 1}{e^x + 1}.$

7.10. იპოვეთ წარმოებულები:

1) $y = 2 \ln x + (x^2 + 2x)e^x + \frac{x+3}{x-1} + 1;$

2) $y = 3 \cdot 5^x + x^4 \sin x + \frac{\cos x}{e^x} - 2;$

3) $y = 4 \sin x + x^7 \cdot 7^x + \frac{\sin x}{\cos x} + 3;$

$$4) \quad y = 5 \cos x + (x^3 + 2x) 3^x + \frac{\sqrt{x}}{\sin x} - \ln 2;$$

$$5) \quad y = 7 \arcsin x + \sin x \ln x - \frac{e^x}{\cos x} + 4;$$

$$6) \quad y = 2 \arccos x - x^3 \cdot \cos x - \frac{\sin x}{x^2} + 6;$$

$$7) \quad y = 5 \operatorname{arctg} x - \sin x \cos x - \frac{4^x}{x} - 8;$$

$$8) \quad y = 3 \operatorname{arcctg} x - \ln x e^x - \frac{\sin x}{e^x} + 9.$$

7.11. $\omega\mathfrak{C}\omega\mathfrak{C}\mathfrak{C}\omega$ $f'(x_0)$, $\omega\mathfrak{C}$

$$1) \quad f(x) = x^3 + 2x^2 + 3, \quad x_0 = 3;$$

$$2) \quad f(x) = \frac{1}{x} - \frac{3}{x^2} + 5, \quad x_0 = 1;$$

$$3) \quad f(x) = 4x - 2\sqrt{x}, \quad x_0 = 4;$$

$$4) \quad f(x) = \frac{6}{x\sqrt[3]{x}} - \frac{1}{\sqrt[3]{x}}, \quad x_0 = 8;$$

$$5) \quad f(x) = x(x^2 - 2), \quad x_0 = 5;$$

$$6) \quad f(x) = \frac{1}{x+1} - \frac{2}{x^2+3}, \quad x_0 = 0;$$

$$7) \quad f(x) = \frac{x^2 - 4x + 3}{x}, \quad x_0 = -2;$$

$$8) \quad f(x) = \frac{4x}{3x+1}, \quad x_0 = 1;$$

$$9) \quad f(x) = \frac{4e^x}{x^2+1}, \quad x_0 = 0;$$

$$10) \quad f(x) = \ln \frac{3x}{x-1}, \quad x_0 = -1;$$

$$11) \quad f(x) = \sqrt{\frac{x}{x+1}}, \quad x_0 = 1;$$

$$12) f(x) = \sqrt{1 + \ln^2 x}, \quad x_0 = 1;$$

$$13) f(x) = \ln \sqrt[4]{\frac{1 + \operatorname{tg} x}{1 - \operatorname{tg} x}}, \quad x_0 = 0;$$

$$14) f(x) = \ln(\sqrt{1 + e^x} - 1) - \ln(\sqrt{1 + e^x} + 1), \quad x_0 = 0.$$

7.12. აპოკეთ შემდეგის ფუნქციის წარმოებულის:

$$1) y = (x^3 + 2x^2 - 3)^4; \quad 2) y = (5x^4 - 3x^3 + 2x)^3;$$

$$3) y = \sin 2x; \quad 4) y = 5 \cos \frac{x}{5};$$

$$5) y = \ln(3x - 4); \quad 6) y = \ln(9x^2 + 5);$$

$$7) y = \sqrt{2x + 3}; \quad 8) y = \sqrt{x^2 - 4x + 1};$$

$$9) y = \sin^3 4x; \quad 10) y = \cos^2 2x;$$

$$11) y = \ln(\sin x); \quad 12) y = \cos(\ln x);$$

$$13) y = 3^{x^3+1}; \quad 14) y = 4^{\sqrt{x^6-1}};$$

$$15) y = 4^{\sin x}; \quad 16) y = 5^{\cos x};$$

$$17) y = \sin(x^3+1) + \ln x^4; \quad 18) y = \ln(x^3 - 4) - e^{3x};$$

$$19) y = 2^{\arcsin 4x} + 3^{\arccos 2x}; \quad 20) y = 4^{\operatorname{arctg} 3x} + 5^{\operatorname{arctg} 2x};$$

$$21) y = \ln \sqrt{\frac{1 + \sin x}{1 - \sin x}}; \quad 22) y = \ln \operatorname{ctg} \sqrt{x};$$

$$23) y = x^3 \cdot e^{3x}; \quad 24) y = x^2 \cdot 2^{\sqrt{x}};$$

$$25) y = \arcsin \sqrt{x}; \quad 26) y = \ln \sqrt{\frac{x}{x-1}};$$

$$27) y = e^{x^2} \cdot \cos 4x; \quad 28) y = 4^{x^3-5} \cdot \arcsin 3x;$$

$$29) y = \frac{\sin x}{\sqrt{\sin 2x}};$$

$$30) y = \operatorname{arctg} \frac{x}{a} + \frac{1}{2} \ln(x^2 + a^2), \quad a \neq 0.$$

7.13. იპოვეთ ფუნქციის მკორე რიგის წარმობეული:

- | | |
|---------------------------|-----------------------------------|
| 1) $y = x^3 - 2x^2 + 3;$ | 2) $y = x^5 + 3x^4 - 2x^2 + x;$ |
| 3) $y = \sqrt{1 - x^2};$ | 4) $y = \sqrt{3 + x^3};$ |
| 5) $y = (x^3 + 1)^3;$ | 6) $y = (2x - 3)^4;$ |
| 7) $y = x^4 \cdot \ln x;$ | 8) $y = x^5 \cdot e^x;$ |
| 9) $y = \arcsin x;$ | 10) $y = \operatorname{arctg} x;$ |
| 11) $y = e^{3x+4};$ | 12) $y = 2^{6x+7};$ |
| 13) $y = \ln(x^3 + 5x);$ | 14) $y = \sin x + 3e^{5x};$ |
| 15) $y = 4 + \sin^2 x;$ | 16) $y = e^x \cdot \sin x.$ |

7.14. იპოვეთ ფუნქციის n -ური რიგის წარმობეული:

- | | |
|-------------------|-------------------|
| 1) $y = a^x;$ | 2) $y = a^{mx};$ |
| 3) $y = \sin x;$ | 4) $y = \cos x;$ |
| 5) $y = \sin ax;$ | 6) $y = \cos ax;$ |
| 7) $y = e^{2x};$ | 8) $y = 2^{3x}.$ |

7.15. იპოვეთ ფუნქციის დიფერენციალი:

- | | |
|-----------------------------------|---|
| 1) $y = 2x^2 + 3x - 14;$ | 2) $y = 5\sqrt{x} + \frac{1}{\sqrt[3]{x}} + x;$ |
| 3) $y = \sin 3x + \ln 2x;$ | 4) $y = \ln 3x + 2^{x+1};$ |
| 5) $y = (x^2 - x + 1)^2;$ | 6) $y = \sin^3 x;$ |
| 7) $y = x^2 \cdot e^{4x};$ | 8) $y = \arccos 3x + \operatorname{arctg} 6x;$ |
| 9) $y = \ln \frac{e^x - 1}{e^x};$ | 10) $y = \ln \cos x;$ |
| 11) $y = x^4 \log_3 x;$ | 12) $y = \frac{5}{x + x^2};$ |
| 13) $y = \sqrt[3]{2x^2 + 3};$ | 14) $y = 3^{\sin x} + 2^{\cos 3x};$ |
| 15) $y = \frac{x + 1}{x - 1};$ | 16) $y = \frac{x^3 - 3}{x^2 + 2}.$ |

7.16. დიფერენციალის საშუალებით იპოვეთ მიახლოებითი მნიშვნელობები:

- | | |
|------------------------|-------------------------|
| 1) $\sqrt[6]{67,84}$; | 2) $\sqrt[5]{255,15}$; |
| 3) $1,015^7$; | 4) $0,995^6$; |
| 5) $\sqrt[3]{28,62}$; | 6) $e^{1,02}$; |
| 7) $\ln(e + 0,544)$. | |

7.17. მთლიანი ამონაგების ფუნქციაა

$$(TR) = f(Q) = 300Q - 2Q^2.$$

- რას უდრის მარჟინალური ამონაგების ფუნქციის მნიშვნელობა, როცა $Q = 25$;
- გამოთვალეთ ამონაგების ფუნქციის ცვლილება მოთხოვნის $\Delta Q = 5$ ერთეულით გაზრდისას, თუ მოცემულ მომენტში მოთხოვნაა $Q = 25$ ერთეული.

7.18. მოთხოვნის ფუნქცია მოცემულია ტოლობით

$$P = 80 - Q.$$

- მოძებნეთ მთლიანი ამონაგების ფუნქციისა და მისი შესაბამისი მარჟინალური ამონაგების ფუნქციის გამოსახულებები;
- გამოთვალეთ მარჟინალური ამონაგები, როცა $Q = 20$;
- იპოვეთ მთლიანი ამონაგების ცვლილება, თუ მოთხოვნა იზრდება ერთი ერთეულით და შეადარეთ იგი მარჟინალური ამონაგების მნიშვნელობას $Q = 20$ ერთეულზე.

7.19. გამოთვალეთ მარჟინალური ამონაგები, თუ მოთხოვნის ფუნქცია მოცემულია შემდეგი ტოლობით:

- ა) $P = 6 - 2Q$;
 ბ) $P = \frac{500}{\sqrt{3+Q}}$;
 გ) $P = \sqrt[3]{200 - 4Q}$.

7.20. მთლიანი ამონაგების ფუნქცია მოცემულია ტოლობით:

$$(TR) = \ln \sqrt[3]{\left(\frac{1-3Q}{1+3Q}\right)^2}.$$

იპოვეთ მარჟინალური ამონაგები, როცა $Q = 1$.

7.21. საწარმოს მუდმივი დანახარჯია $(FC) = 500$ \$, ხოლო ცვლადი დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე – $(VC) = 3$ \$.

- ა) იპოვეთ მთლიანი და მარჟინალური დანახარჯები;
 ბ) გამოთვალეთ მთლიანი დანახარჯი, როცა $Q = 40$;
 გ) გამოთვალეთ მთლიანი დანახარჯის ცვლილება, თუ მოთხოვნა გაიზარდება 40 ერთეულიდან 43 ერთეულამდე.

7.22. ვთქვათ, წარმოების საშუალო დანახარჯის ფუნქცია მოცემულია ტოლობით:

$$(AC) = 3Q + 4 + \frac{15}{Q}.$$

- ა) იპოვეთ მთლიანი დანახარჯისა და მარჟინალური დანახარჯის ფუნქციები;
 ბ) მოძებნეთ მარჟინალური დანახარჯის საშუალებით გამოთვლილი სრული დანახარჯის ცვლილება, თუ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა მცირდება 20-დან 18 ერთეულამდე;

გ) გამოთვალეთ მთლიანი დანახარჯის ზუსტი ცვლილება, როცა $Q = 20$ -ს და პროდუქციის რაოდენობა მცირდება 2 ერთეულით. იპოვეთ სხვაობა მთლიანი დანახარჯის ზუსტ და მიახლოებით მნიშვნელობებს შორის.

7.23. წარმოების ფიქსირებული დანახარჯია 75 დოლარი, ხოლო ცვალებადი დანახარჯი პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის — $4 + \frac{3}{Q}$.

ა) გამოთვალეთ მთლიანი დანახარჯი და მარჩინალური დანახარჯი პროდუქციის Q რაოდენობისათვის;

ბ) გამოთვალეთ მთლიანი დანახარჯის ცვლილების ზუსტი მნიშვნელობები

(1) მოთხოვნის $\Delta Q = 3$ ერთეულით გაზრდისას,

(2) მოთხოვნის $\Delta Q = 4$ ერთეულით შემცირებისას,

თუ აღებულ მომენტში პროდუქციის რეალიზაციის დონეა $Q = 50$ ერთეული.

7.24. ფირმის მიერ დაგეგმილი დანახარჯი მოიცემა ფუნქციით:

$$K(Q) = (TC) = \frac{9}{3} Q^3 - 9Q^2 + 3.$$

წარმოების რა მოცულობის დროს იქნება დანახარჯები მინიმალური?

7.25. წარმოების მთლიანი დანახარჯის ფუნქციაა

$$K(Q) = 0,03Q^2 - 2Q + 300.$$

ა) იპოვეთ საშუალო დანახარჯისა და მარჩინალური დანახარჯის ფუნქციები;

ბ) იპოვეთ საშუალო დანახარჯი და მარჟინალური დანახარჯი, როცა:

$$(1) Q = 50, \quad (2) Q = 100;$$

გ) წარმოების რა მოცულობისათვის იქნება საშუალო დანახარჯი მინიმალური?

7.26. წარმოების მუდმივი დანახარჯია 150 დოლარი, ხოლო ცვალებადი დანახარჯი — 2 დოლარი, მოთხოვნის ფუნქციაა

$$P + 2Q = 82.$$

გამოსახეთ მოგების Π ფუნქცია Q -ს საშუალებით.

ა) იპოვეთ საქონლის რა რაოდენობა იძლევა 200 დოლარის ტოლ მოგებას;

ბ) პროდუქციის რა რაოდენობა უზრუნველყოფს მოგების მაქსიმალურ სიდიდეს?

7.27. მოთხოვნის ფუნქციაა $P = 447 - 2Q$, ხოლო საშუალო დანახარჯის ფუნქცია — $(AC) = \frac{7}{Q} + 3$. იპოვეთ პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოგებას.

7.28. მოცემულია მთლიანი ამონაკებისა და მთლიანი დანახარჯის ფუნქციები:

$$(TR) = -3Q^2 + 40Q,$$

$$(TC) = 4Q + 5.$$

იპოვეთ მოგების ფუნქციის მაქსიმუმი.

7.29. პროდუქციის წარმოების ფიქსირებული დანახარჯია $(FC) = 80$ \$, ხოლო პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯი — $(VC) = 4$ \$. მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = 300 - Q.$$

- ა) იპოვეთ მარჟინალური მოცუბის ფუნქცია;
- ბ) მარჟინალური მოცუბის საშუალებით მიახლოებით გამოთვალეთ მოცუბის ცვლილება, რომელიც შეესაბამება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილებას $Q_1 = 40$ ერთეულიდან $Q_2 = 42$ ერთეულამდე;
- გ) გამოთვალეთ მოცუბის ზუსტი ცვლილება $Q_1 = 40$ ერთეულიდან $Q_2 = 42$ ერთეულამდე და შეადარეთ ბ)-ში მიღებულ მიახლოებით მნიშვნელობას.

7.30. მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = 40 - Q,$$

ხოლო სრული დანახარჯის ფუნქცია —

$$(TC) = \frac{1}{2} Q^2 + 4Q - 10.$$

- ა) წარმოების რა დონე უზრუნველყოფს მთლიანი ამონაკების მაქსიმუმს?
- ბ) წარმოების რა Q_0 დონე უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოცუბას? იპოვეთ მოცუბის ეს მნიშვნელობა.

7.31. მოხმარების ფუნქცია მოცემულია ტოლობით

$$C(Y) = 0,01Y^2 + 0,1Y + 25,$$

სადაც Y ეროვნული შემოსავალია.

გამოთვალეთ მარჟინალური მიდრეკილებები მოხმარებისა (MPC) და დანახარჯისადმი (MPS), როდესაც $Y = 40$. გააანალიზეთ მიღებული შედეგები.

7.32. დანახარჯის ფუნქცია მოცემულია ტოლობით

$$S(Y) = 0,7Y + 90,$$

სადაც Y ეროვნული შემოსავალია.

იპოვეთ მარჟინალური მიდრეკილებები დაზოგვისა (MPS) და მოხმარებისადმი (MPC).

7.33. მოცემულია მოთხოვნის ფუნქცია

$$P = 500 - 4Q.$$

- ა) გამოთვალეთ მოთხოვნის საშუალო ელასტიკურობა ფასის ცვლილების მიმართ, თუ პროდუქციის ერთეულის ფასი კლებულობს 120 დოლარიდან 100 დოლარამდე;
- ბ) გამოთვალეთ მოთხოვნის (ზღვრული) ელასტიკურობა, როცა $P = 120$. გააანალიზეთ მიღებული შედეგები.

7.34. მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = 75 - 3Q.$$

გამოთვალეთ მოთხოვნის (ზღვრული) ელასტიკურობა, როდესაც

- ა) $P = 6$; ბ) $P = 60$.

7.35. მოცემულია მოთხოვნის ფუნქცია

$$P = 90 - Q.$$

- ა) გამოთვალეთ მოთხოვნის საშუალო ელასტიკურობა ფასის ცვლილების მიმართ, თუ პროდუქციის ერთეულის ფასი გაიზარდა 30 დოლარიდან 35 დოლარამდე;
- ბ) გამოთვალეთ მოთხოვნის (ზღვრული) ელასტიკურობა, როდესაც $P = 30$.

7.36. მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = -Q^2 - 2Q + 57.$$

- ა) გამოთვალეთ მოთხოვნის (ზღვრული) ელასტიკურობა ფასის მიმართ, როცა $P = 22$;
- ბ) როგორია მოთხოვნის პროცენტული ცვლილება, თუ ფასის პროცენტული ცვლილებაა 3%.

7.37. მოცემულია მოთხოვნის ფუნქცია

$$P = -2Q^2 - 7Q + 1000.$$

- ა) გამოთვალეთ მოთხოვნის (ზღვრული) ელასტიკურობა ფასის მიმართ, თუ მოთხოვნაა $Q = 20$;
- ბ) ფასის როგორი პროცენტული ცვლილება გამოიწვევს მოთხოვნის 2%-იან ცვლილებას?

7.38. გამოთვალეთ მოთხოვნის (ზღვრული) ელასტიკურობა ფასის მიმართ, თუ $P = 12$ და მოთხოვნის ფუნქცია მოიცემა ტოლობით

$$P = \sqrt{500 - 3Q}.$$

7.39. მოცემულია მიწოდების ფუნქცია

$$Q = 0,5P^2 + 2P + 10.$$

- ა) გამოთვალეთ მიწოდების საშუალო ელასტიკურობა ფასის ნაზრდის მიმართ, თუ პროდუქციის ერთეულის ფასი გაიზარდა 6 დოლარიდან 9 დოლარამდე;
- ბ) გამოთვალეთ მიწოდების (ზღვრული) ელასტიკურობა ფასის მიმართ, როცა $P = 6$.

7.40. იპოვეთ მიწოდების საშუალო ელასტიკურობა ფასის ნაზრდის მიმართ, თუ მიწოდების ფუნქციაა

$$Q = 0,01P^2 + 0,5P + 60$$

და პროდუქციის ერთეულის ფასი კლებულობს 50 დოლარიდან 46 დოლარამდე. გამოთვალეთ ზღვრული ელასტიკურობა, როდესაც ფასია 50 დოლარი.

7.41. მიწოდების ფუნქციაა

$$Q = 0,007P^2 + 3P + 4.$$

- ა) გამოთვალეთ მიწოდების (ზღვრული) ელასტიკურობა ფასის მიმართ, როცა $P = 15$;
- ბ) როგორია მიწოდების პროცენტული ცვლილება, თუ ფასის პროცენტული ცვლილებაა 10 %.

7.42. საკონცერტო დარბაზი იტევს 9000 მაყურებელს. თუ ბილეთის ფასი იქნება 8 დოლარი, მაშინ იყიდება 7500 ბილეთი. ბილეთის ფასის 2 დოლარით გაიაფებამ გაყიდული ბილეთების რაოდენობა გაზარდა 1500-ით. რა ფასად უნდა გაიყიდოს ბილეთი, რომ მთლიანი ამონაგები იყოს მაქსიმალური, თუ დამოკიდებულება ბილეთის ფასსა და გაყიდული ბილეთების რაოდენობას შორის წრფივია?

7.43. სპორტული კოსტუმის ფასი გაიზარდა 12 დოლარიდან 15 დოლარამდე. ამის გამო ნაცვლად 6000-ისა თვეში იყიდება 5000 ცალი კოსტუმი. ცნობილია, რომ დამოკიდებულება ფასსა და გაყიდული სპორტული კოსტუმების რაოდენობას შორის წრფივია. იპოვეთ:

- ა) მოთხოვნის ფუნქცია;
- ბ) როგორი უნდა იყოს სპორტული კოსტუმის ფასი, რომ მთლიანი ამონაგები იყოს მაქსიმალური?

7.44. სავაჭრო ფირმას აქვს შენობა, რომელშიც განლაგებულია 150 ოფისი. თუ ყოველთვიური გადასახადი თითოეულ

ოფისზე იქნება 350 დოლარი, მაშინ ყველა ოფისი გაქირავდება. მარკეტინგულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გადასახადის 8 დოლარით გაძვირება იწვევს გაქირავებული ოფისების 2-ით შემცირებას. რა გადასახადი უნდა დააწესოს ფირმამ, რომ მიიღოს მაქსიმალური მთლიანი ამონაგები? (იგულისხმება, რომ გადასახადი გაქირავებული ოფისების რაოდენობის წრფივი ფუნქციაა.)

7.45. საუბრო ფირმა ყოველ თვეში ყიდის 500 ცალ მსუბუქ ავტომანქანას, თითოეულს 2500 დოლარად. მარკეტინგული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 200 დოლარით ფასდაკლება იწვევს გაყიდული ავტომობილების რაოდენობის 50-ით ზრდას.

- ა) იპოვეთ მოთხოვნის ფუნქცია, თუ ის წრფივია;
- ბ) რა ფასი უნდა დაედოს მსუბუქ ავტომობილს, რომ მთლიანი ამონაგები იყოს მაქსიმალური?
- გ) ფირმის ყოველთვიური დანახარჯების ფუნქცია გამოისახება ტოლობით:

$$K(Q) = 45000 + 100Q.$$

როგორი უნდა იყოს ავტომობილის ფასი, რომ მივიღოთ მაქსიმალური მოგება?

7.46. პურის ქარხანა ყოველდღიურად ყიდის 3000 ცალ პურს, თითოეულს 0,5 დოლარად. პურის ფასის გაზრდამ 0,2 დოლარით გამოიწვია გაყიდული პურის რაოდენობის 100-ით შემცირება.

- ა) იპოვეთ მოთხოვნის ფუნქცია, თუ ის გაყიდული პურის რაოდენობაზე წრფივადაა დამოკიდებული;

ბ) რა ფასი უნდა დაედოს პურს, რომ მოგება იყოს მაქსიმალური, თუ მის დასამზადებლად იხარჯება 0,3 დოლარი?

7.47. მატარებელში არის 15 ვაგონი. თითოეულ ვაგონში 40 ადგილია. თუ მატარებლის ბილეთის ფასი არის 10 დოლარი, მაშინ იყიდება 580 ბილეთი. საფხულის პერიოდში ბილეთის ღირებულება გაზარდეს 1 დოლარით, რამაც გამოიწვია გაყიდული ბილეთების რაოდენობის 29-ით შემცირება.

ა) იპოვეთ მოთხოვნის ფუნქცია, თუ დამოკიდებულება გაყიდული ბილეთების რაოდენობასა და ბილეთის ფასს შორის წრფივია;

ბ) როგორი უნდა იყოს ბილეთის ფასი, რომ მთლიანი ამონაგები იყოს მაქსიმალური? იპოვეთ ეს მაქსიმალური ამონაგები.

7.48. იპოვეთ მონოტონურობის შუალედები:

$$1) y = 2x^3 + 3x^2 + 4x; \quad 2) y = -x^3 + 2x^2 - 5x;$$

$$3) y = x^3 - 27x + 2; \quad 4) y = \frac{1}{3}x^3 - \frac{7}{2}x^2 + 10x + 3;$$

$$5) y = (x - 5)^2; \quad 6) y = \frac{1}{2x + 3};$$

$$7) y = \ln x - \frac{8}{3}x^3; \quad 8) y = \ln(4 - x^2).$$

7.49. იპოვეთ შემდეგი ფუნქციების ექსტრემუმი:

$$1) y = 2x^2 + 8x - 1; \quad 2) y = 4x - x^2;$$

$$3) y = 2x^3 + 3x^2 - 36x + 5; \quad 4) y = x^4 - 4x^3 + 4x^2 + 1;$$

$$5) y = \frac{x^4}{4} - x^3; \quad 6) y = \frac{x^4}{4} - 2x^2;$$

$$7) y = \sqrt[4]{x^5} + 1; \quad 8) y = 3x - 2\sqrt{x};$$

$$\begin{array}{ll}
 9) y = \frac{1}{1+x^2}; & 10) y = \frac{x^3}{1+x^2}; \\
 11) y = \frac{x^2}{x-3}; & 12) y = e^{x^2}; \\
 13) y = \frac{e^x}{x}; & 14) y = x \cdot e^{-x}; \\
 15) y = \ln x + \frac{2}{x}; & 16) y = x \ln^2 x.
 \end{array}$$

7.50. იპოვეთ შემდეგი ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები მითითებულ შუალედში:

$$\begin{array}{l}
 1) y = x^2 - 2x, [0; 3]; \\
 2) y = x^4 - 8x^2 + 3, [-3; 3]; \\
 3) y = x + \sqrt{x}, [0; 4]; \\
 4) y = (x-3)^2 e^{-x}, [0; 6].
 \end{array}$$

7.51. იპოვეთ ამოზნექილობის და ჩაზნექილობის შუალედები და გადაღუნვის წერტილები:

$$\begin{array}{ll}
 1) y = x^3 - 6x^2 + 3; & 2) y = 2x - 5x^3; \\
 3) y = 3x^5 - 5x^4 + 3x - 2; & 4) y = x^4 + 6x^3 - 60x^2 + 3; \\
 5) y = x e^x; & 6) y = 2x^2 + \ln x; \\
 7) y = \frac{x}{x+1}; & 8) y = x^4 + x^2 + e^x; \\
 9) y = \sqrt{x-2}; & 10) y = \frac{1}{x^2 + x + 1}.
 \end{array}$$

7.52. იპოვეთ შემდეგი ფუნქციების გრაფიკების ასიმპტოტები:

$$\begin{array}{ll}
 1) y = \frac{3}{x+5}; & 2) y = \frac{4}{(x-3)(x-7)}; \\
 3) y = \frac{2}{x^2-9}; & 4) y = \frac{x}{x^2-16};
 \end{array}$$

$$\begin{array}{ll}
5) y = \frac{9(x^2 - 5)}{3x^2 + 7}; & 6) y = \frac{x}{(x + 3)^2}; \\
7) y = \frac{x^2 - 3x + 5}{x^2 + x - 6}; & 8) y = \frac{x^3 + x + 2}{2x^3 - 16}; \\
9) y = \frac{2 - 3x}{4 + 5x}; & 10) y = \frac{1 - x^2}{1 + x^2}; \\
11) y = x + \frac{1}{x}; & 12) y = 2x + \frac{2}{x + 1}; \\
13) y = \frac{x^2 - 5x + 6}{x - 2}; & 14) y = \frac{x^3}{x^2 + x - 2}; \\
15) y = \frac{5x^5}{x^4 - 9}; & 16) y = \frac{2x^7}{4 + x^6}; \\
17) y = \ln(1 - x^2); & 18) y = \frac{2x^3 \ln x}{x^2 + 1}.
\end{array}$$

7.53. გამოიკვლიეთ შემდეგი ფუნქციები და ააგეთ მათი გრაფიკები:

$$\begin{array}{ll}
1) y = x^2 + x; & 2) y = x^2 + \frac{1}{x}; \\
3) y = x^3 - 12x^2 + 36x; & 4) y = x^3 - 3x^2 - 24x + 1; \\
5) y = \frac{x + 2}{3x - 1}; & 6) y = \frac{2x + 1}{x - 1}; \\
7) y = \frac{x^2}{1 - x}; & 8) y = \frac{x^2}{x - 3}; \\
9) y = x + \frac{1}{x}; & 10) y = e^{-x^2/2}; \\
11) y = \ln(1 + x^2); & 12) y = \sqrt[3]{x^3 - 3x}.
\end{array}$$

მრავალი ცვლადის ფუნქციები

- 8.1. გამოსახეთ მართკუთხედის S ფართობი, როგორც მისი a გვერდისა და b დიაგონალის ფუნქცია.
- 8.2. გამოსახეთ მთლიანი ამონაგები (TR), როგორც საქონლის Q რაოდენობისა და ამ საქონლის ერთი ერთეულის P ფასის ფუნქცია.
- 8.3. გამოთვალეთ ფუნქციის მნიშვნელობა მითითებულ წერტილში:
- 1) $z = x^2y^3 - 4xy - 8x$, $M(1; -2)$;
 - 2) $z = \ln(x^2 + y^2)$, $M(-1; 2)$;
 - 3) $z = (x^2 + 1) \ln(x + y^2)$, $M(0; 2)$.
- 8.4. იპოვეთ ფუნქციის განსაზღვრის არე:

$$1) z = x^2 + y;$$

$$2) z = \frac{1}{x^2 + y^2};$$

$$3) z = \frac{xy}{x - y};$$

$$4) z = \ln(16 - x^2 - y^2);$$

$$5) z = \sqrt{25 - x^2 - y^2};$$

$$6) z = \frac{1}{\sqrt{x^2 + y^2 - 9}};$$

$$7) z = \frac{2}{\sqrt{x^2 + y^2 - 5}};$$

$$8) z = \frac{5}{x^2 - 4y^2};$$

$$9) z = \ln x(y^2 + 1);$$

$$10) z = \ln x^2(y - 2)^2;$$

$$11) z = \ln(x - 3)y^2.$$

8.5. გამოთვალეთ ზღვარი:

$$1) \lim_{\substack{x \rightarrow 1 \\ y \rightarrow 2}} (3x^2 - 2xy + y^2);$$

$$2) \lim_{\substack{x \rightarrow -1 \\ y \rightarrow 0}} (5x^2 + 7xy - 8y^2);$$

$$3) \lim_{\substack{x \rightarrow -1 \\ y \rightarrow 2}} \sqrt{8x^2 + 4y^2};$$

$$4) \lim_{\substack{x \rightarrow 1 \\ y \rightarrow 0}} \frac{\ln(x + e^y)}{\sqrt{4x^2 + y^2}};$$

$$5) \lim_{\substack{x \rightarrow 1 \\ y \rightarrow 2}} \frac{3xy}{x^2 + y^2 + 5};$$

$$6) \lim_{\substack{x \rightarrow 1 \\ y \rightarrow 2}} \frac{3 - \sqrt{xy + 4}}{x^2 + y^2 + 1}.$$

8.6. შეიხვევლეთ

$$f(x, y) = \begin{cases} \frac{xy}{x^2 + y^2}, & \text{როცა } x^2 + y^2 \neq 0 \\ 0, & \text{როცა } x^2 + y^2 = 0 \end{cases}$$

ფუნქციის უწყვეტობის საკითხი.

8.7. შეამოწმეთ, უწყვეტია თუ არა ფუნქცია

$$f(x, y) = \begin{cases} \frac{x^2 y}{x^4 + y^2}, & \text{როცა } x^4 + y^2 \neq 0, \\ 0, & \text{როცა } x^4 + y^2 = 0. \end{cases}$$

8.8. იპოვეთ ფუნქციის პირველი რიგის კერძო წარმოებულები:

- 1) $z = x^2 y^3 - 4xy^2 + 7x^3 + 10;$
- 2) $x = 4x^3 y^2 - 2xy - 3y^2 + 5;$
- 3) $z = 5x^2 + 7xy^4 - 14x + 15y + 11;$
- 4) $z = x^2(y^3 - x^3);$
- 5) $z = (y - 3) \ln^2 x;$
- 6) $\frac{x^2}{3x^2 - y^2};$
- 7) $z = y^3 e^{4x^2};$
- 8) $z = \frac{x^2 + 5y}{4x^2 + 7y^2};$
- 9) $z = \frac{4x^2 + 5y^3}{4x - 8};$
- 10) $z = \frac{4y^2}{5x^2 - 18};$
- 11) $z = \frac{x^2 + y^3}{4xy};$
- 12) $z = \frac{3xy}{4x^2 + 3y^3};$
- 13) $z = (5x^2 + y^3)^4;$
- 14) $z = (4x^2 - 7y^2 + 5)^3;$
- 15) $z = \sqrt{4x^2 + 7y^3 + 11};$
- 16) $z = 4x^2 e^{5y};$
- 17) $z = -3y^3 e^{5x^2} + 4xy;$
- 18) $z = e^{\frac{x}{y}};$
- 19) $z = e^{5x^2 + 7y^3 + 8xy + 15};$
- 20) $z = 3^{xy^2 + 5xy + 7};$
- 21) $z = \ln \frac{5x}{y^2 + 5};$
- 22) $z = \ln \frac{4x^2}{7x^2 + 2y};$
- 23) $z = y^2 \log_5 x;$
- 24) $z = 7x^3 \log_2 y;$
- 25) $z = x^y;$
- 26) $z = \log_x y.$

8.9. გამოთვალეთ ფუნქციის სრული დიფერენციალი მითითებულ წერტილში:

1) $z = 7x^2y^2, \quad M(1; -1);$

2) $z = x^3 - 2xy + y^2, \quad M(-2; 1);$

3) $z = \frac{1}{2} \ln(x^2 + y^2), \quad M(1; 2);$

4) $z = \frac{x}{y} + 5x^2, \quad M(2; 1);$

5) $z = 4e^{5x^2+y^3}, \quad M(3; 2);$

6) $z = x^{3y}, \quad M(2; 1);$

7) $z = 5x^3e^{8y} + 11, \quad M(1; 2);$

8) $z = 3 \log_2 x + 4^y, \quad M(4; 2).$

8.10. იპოვეთ ფუნქციის მქონე რიგის კერძო წარმოებულები:

1) $z = 3x^2y^4 + 4xy - 9x + 17y;$

2) $z = 7xy^3 - 11x^2 + 9;$

3) $z = 4x \ln y;$

4) $z = \ln(x^2 + y^3);$

5) $z = \frac{y^3}{x^2 - 9};$

6) $z = 4e^x \ln y;$

7) $z = 5 \ln(x^2 + 9xy);$

8) $z = 2e^{8xy};$

9) $z = (x^2 - 9y^3)^4;$

10) $z = \frac{x^3}{2 + y^3} + e^{4y}.$

8.11. იპოვეთ რთული ფუნქციის წარმოებულები:

$$1) z = \frac{5x^2}{7y^3}, \quad x = 2e^t, \quad y = t^2;$$

$$2) z = \ln(x^3 + y), \quad x = t^2, \quad y = \sqrt{t};$$

$$3) z = \ln(5x^2 + 7xy), \quad x = e^t, \quad y = \ln t;$$

$$4) z = 5x^2y^3 + 11xy - 9x^2, \quad x = 4t, \quad y = t^3;$$

$$5) z = 7xy - 15x + 12y - 11, \quad x = 5t, \quad y = t^2;$$

$$6) z = (x + y)^4, \quad x = e^t, \quad y = \sqrt[4]{t};$$

$$7) z = \sqrt{\frac{x+y}{x-y}}, \quad x = t^4, \quad y = t^2;$$

$$8) z = 4y \ln x, \quad x = 4e^t, \quad y = t.$$

8.12. იპოვეთ არაცხადი ფუნქციის წარმოებულები:

$$1) x^2 - 2xy + 7y^2 = 10x^3 - 11x + 12y - 5;$$

$$2) 4x^3 - 2xy - 9 = 11x^2 + 12y - 18xy^2;$$

$$3) y^3 + xy = \ln(x^2 + 2y);$$

$$4) 4y^3 - 15x^2 + 17xy^2 = 0;$$

$$5) e^y + xy = 0;$$

$$6) x \ln y + 7 \cdot 2^x + 15 = 0;$$

$$7) 4e^x + 9x^2y = xy - 15;$$

$$8) 7e^{3x} + 4y^3 = \ln(3x - 4^y);$$

$$9) 8e^{x^2+y^3} = \ln(x + y);$$

$$10) 3 \log_2 y = x \cdot 5^y.$$

8.13. აჩვენეთ, რომ $z = f(x, y)$ არის m რიგის ერთგვაროვანი ფუნქცია:

$$1) z = \frac{5x^2 + 8xy + 4y^2}{10x + y}, \quad m = 1;$$

$$2) \sqrt{5x^2 + 7xy - 10y^2}, \quad m = 1;$$

$$3) z = 5x + 10y, \quad m = 1;$$

$$4) z = \frac{ax + by}{cx + dy}, \quad m = 0;$$

$$5) z = x^2 + 2xy + 3y^2, \quad m = 2;$$

$$6) z = \frac{x^3 + 4xy^2}{x + y}, \quad m = 2;$$

$$7) z = 7x^4 + 7x^3y + 8y^4, \quad m = 4;$$

$$8) z = \sqrt{2x^4y^2 + 4x^3y^3}, \quad m = 3.$$

8.14. აჩვენეთ, რომ ვიქსელ-კოპ-დაგლასის ფუნქცია წარმოადგენს m რიგის ერთგვაროვან ფუნქციას:

$$1) Q = CK^{\frac{1}{4}}L^{\frac{1}{2}}, \quad m = \frac{3}{4};$$

$$2) Q = CK^{\frac{1}{3}}L^{\frac{2}{5}}, \quad m = \frac{11}{15}.$$

8.15. მოთხოვნის ფუნქციას აქვს სახე

$$Q = 270 - 3P - 4P_A + 0,2Y.$$

იპოვეთ მოთხოვნის

- ა) კერძო ელასტიკურობა ფასის მიმართ;
- ბ) ჯვარედინი ელასტიკურობა;
- გ) კერძო ელასტიკურობა შემოსავლის მიმართ, თუ

$$P = 15 \$, \quad P_A = 20 \$, \quad Y = 500 \$.$$

გამოთვალეთ მოთხოვნის პროცენტული ცვლილება, თუ საქონლის ფასი გაიზარდა 5 ერთეულით.

8.16. მოცემულია მოთხოვნის ფუნქცია

$$Q = 400 - 5P - 3P_A + 0,01Y^2.$$

იპოვეთ მოთხოვნის

- ა) კერძო ელასტიკურობა ფასის მიმართ;
- ბ) ჯვარედინი ელასტიკურობა;
- გ) კერძო ელასტიკურობა შემოსავლის მიმართ, თუ

$$P = 10 \$, \quad P_A = 20 \$, \quad Y = 100 \$.$$

გამოთვალეთ მოთხოვნის პროცენტული ცვლილება, თუ ალტერნატიული პროდუქციის ფასი შემცირდა 10%-ით.

8.17. მოცემულია მოთხოვნის ფუნქცია

$$Q = 700 - 6P - 8P_A + 0,04Y.$$

იპოვეთ მოთხოვნის

- ა) კერძო ელასტიკურობა ფასის მიმართ;
- ბ) ჯვარედინი ელასტიკურობა;
- გ) კერძო ელასტიკურობა შემოსავლის მიმართ, თუ

$$P = 20 \$, \quad P_A = 10 \$, \quad Y = 1000 \$.$$

გამოთვალეთ მოთხოვნის პროცენტული ცვლილება, თუ შემოსავალი შემცირდა 20%-ით.

8.18. საწარმოს ფუნქციას აქვს სახე

$$Q = 3K^{\frac{2}{5}}L^{\frac{3}{4}}.$$

იპოვეთ:

- ა) კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (MP_K);
- ბ) შრომის ზღვრული პროდუქტი (MP_L);

გ) ზღვრული შენაცვლების ნორმა ($MRTS$), თუ

$$K = 32, \quad L = 16.$$

8.19. საწარმოო ფუნქციას აქვს სახე

$$Q = 3LK + L^{\frac{1}{3}}.$$

იპოვეთ:

- ა) კაპიტალის ზღვრული პროდუქტი (MP_K);
- ბ) შრომის ზღვრული პროდუქტი (MP_L);
- გ) ზღვრული შენაცვლების ნორმა ($MRTS$), თუ

$$K = 2, \quad L = 27.$$

დაწერეთ იზოკვანტების შესაბამისი განტოლება. გა-
მთვალეთ, რა სიდიდით უნდა გაიზარდოს K კაპიტალი,
თუ შრომის ფაქტორი შემცირდება 19 ერთეულით (იგუ-
ლისხმება, რომ ამ ცვლილებას არ უნდა მოჰყვეს წარმო-
ებული პროდუქციის დონის ცვლილება, ე.ი. (L, K) წერ-
ტილი იცვლება მხოლოდ ფიქსირებულ იზოკვანტზე).

8.20. ააგეთ შესაბამისი იზოკვანტი:

- ა) $Q = LK^{\frac{1}{2}}, \quad Q_0 = 3;$
- ბ) $Q = L^{\frac{1}{2}} + 2K^{\frac{1}{2}}, \quad Q_0 = 2;$
- გ) $Q = 5LK + L^2, \quad Q_0 = 5.$

8.21. ფირმა ერთხა და იმავე საქონელს საშინაო და საგარეო
ბაზარზე ყიდის სხვადასხვა ფასად.

თითოეული ბაზრის მოთხოვნა (Q_i) და ფასი (P_i)
ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი მოთხოვნის ფუნ-
ქციებით:

- ა) $P_1 = -4Q_1 + 30,$
 $P_2 = -8Q_2 + 89;$

$$\begin{aligned} \text{ბ) } P_1 &= -2Q_1 + 36, \\ P_2 &= -3Q_2 + 68. \end{aligned}$$

ფირმის მთლიანი დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$\begin{aligned} \text{ა) } (TC) &= Q_1^2 + 10Q_1 + 4Q_2^2 + 41Q_2; \\ \text{ბ) } (TC) &= Q_1^2 + Q_2^2 + 2Q_1Q_2. \end{aligned}$$

განსახილვეთ ფირმის ისეთი საფასო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის მაქსიმალურ მოგებას და იპოვეთ ამ მოგების სიდიდე.

- 8.22. ფირმას კაპიტალის 1 ერთეულზე ხარჯება 2 \$, ხოლო შრომის 1 ერთეულზე — 5 \$. ფირმის საწარმოო ფუნქციაა

$$Q = 6LK + 5L^2.$$

წარმოების K და L ფაქტორებზე ხარჯისათვის გამოყოფილი აქვს ფიქსირებული თანხა 200 \$. იპოვეთ წარმოების ოპტიმალური რეჟიმი.

- 8.23. ფირმას კაპიტალის 1 ერთეულზე ხარჯება 1 \$, ხოლო შრომის 1 ერთეულზე — 2 \$. ფირმის საწარმოო ფუნქციაა

$$Q = 8K^{\frac{1}{2}} + L^{\frac{1}{2}}.$$

წარმოების K და L ფაქტორებზე ფირმას გამოყოფილი აქვს ფიქსირებული თანხა — 100 \$. იპოვეთ წარმოების ოპტიმალური რეჟიმი.

- 8.24. ფირმის წარმოების ფუნქციაა

$$Q = 2\sqrt{K} + \sqrt{L}.$$

K კაპიტალის 1 ერთეული ღირს 4 \$, ხოლო L შრომის 1 ერთეული — 2 \$. იპოვეთ წარმოების ოპტიმალური რეჟიმი, თუ ფირმას წარმოების K და L ფაქტორებზე გამოყენებული აქვს ფიქსირებული თანხა — 480 \$.

- 8.25. ფირმა საქონელს ყიდის ორ ბაზარზე სხვადასხვა ფასად. თითოეული ბაზრის მოთხოვნის ფუნქციაა $P_1 = 400 - 2Q_1$, $P_2 = 650 - 3Q_2$. ფირმის მთლიანი დანახარჯის ფუნქციაა $(TC) = 50 + 20(Q_1 + Q_2)$. იპოვეთ წარმოების რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოგებას.
- 8.26. ფირმა ყიდის ორი სახის საქონელს. თითოეულზე მოთხოვნის ფუნქციაა $P_1 = 320 - Q_1$ და $P_2 = 240 - 2Q_2$. ფირმის მიერ გაწეული მთლიანი დანახარჯი გამოისახება ფორმულით

$$(TC) = 60 + 20(Q_1 + Q_2).$$

განსაზღვრეთ ფირმის ისეთი საფასო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოგებას და იპოვეთ ამ მაქსიმალური მოგების სიდიდე.

- 8.27. ფირმა ყიდის ორი სახის საქონელს. თითოეულზე მოთხოვნის ფუნქციაა $P_1 = 900 - 4Q_1$ და $P_2 = 700 - 2Q_2$. ფირმის მიერ გაწეული მთლიანი დანახარჯი გამოისახება ფორმულით

$$(TC) = 90 + 20(Q_1 + Q_2).$$

განსაზღვრეთ ფირმის ისეთი საფასო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოგებას და იპოვეთ ამ მაქსიმალური მოგების სიდიდე.

- 8.28. ფირმას კაპიტალის 1 ერთეულზე ეხარჯება 2 \$, ხოლო შრომის 1 ერთეულზე — 3 \$. საწარმოო ფუნქციაა $Q =$

$4KL + 2L^2$. წარმოების ფაქტორებზე დანახარჯი ფიქსირებულია და 320 \$-ის ტოლია. K და L სიდიდეების რა მნიშვნელობებისათვის მიიღწევა მაქსიმალური მოგება, თუ გაყიდული პროდუქტის ერთეულის ფასია 5 \$:

ა) $K = 4$ \$, $L = 3$ \$, $Q = 3KL + K^2$,
 $(TC) = 450$ \$;

ბ) $K = 2$ \$, $L = 3$ \$, $Q = 3KL + 2L^2$,
 $(TC) = 400$ \$;

გ) $K = 1$ \$, $L = 3$ \$, $Q = KL + L^2$,
 $(TC) = 150$ \$.

**ინტეგრალური აღრიცხვის ელემენტები.
მომხმარებლის დანახოგი. მწარმოებლის
ამონაგების ნამეტი. უწყვეტი შემოსავლის
ნაკადის მიმდინარე ღირებულება. ინვესტიციის
ნაკადი და კაპიტალის დაგროვება**

9.1. ძირითადი ინტეგრების ცხრილის გამოყენებით გამოთვა-
ლეთ შემდეგი ინტეგრალები:

1) $\int \sqrt{x} dx;$

2) $\int \frac{x+1}{\sqrt[3]{x}} dx;$

3) $\int \left(x^2 - 2\sqrt[3]{x} + \frac{4}{x} \right) dx;$

4) $\int \left(2x + \sqrt[5]{x} + \frac{3}{x} - \frac{4}{\sqrt{x}} + 8 \right) dx;$

5) $\int \frac{\sqrt{x}+1}{x} dx;$

6) $\int \frac{(1+x\sqrt{x})^2}{x^2} dx;$

7) $\int (1-2\sqrt{x})^2 dx;$

8) $\int (1-x^2)^3 dx;$

9) $\int x^2(\sqrt{x}-1)^2 dx;$

$$10) \int (1+x)(1+2x)(1+3x) dx;$$

$$11) \int \left(\frac{1}{x} + \frac{2}{x^2} + \frac{3}{x^3} \right) dx;$$

$$12) \int \left(\frac{1-x}{x} \right)^2 dx;$$

$$13) \int \frac{2\sqrt{x} - 3\sqrt[3]{x} + 4}{\sqrt[4]{x}} dx;$$

$$14) \int \sqrt{2\sqrt{x}} dx;$$

$$15) \int \sqrt{x\sqrt[3]{x}} dx;$$

$$16) \int \left(1 - \frac{1}{x} \right) \sqrt{x\sqrt{x}} dx;$$

$$17) \int \frac{\sqrt{x^4 + x^{-4} + 2}}{x^3} dx;$$

$$18) \int \frac{x^2}{1+x^2} dx;$$

$$19) \int \frac{x^2}{1-x^2} dx;$$

$$20) \int (3^x + 4^x)^2 dx;$$

$$21) \int \frac{2^{x+2} - 5^{x-2}}{10^x} dx;$$

$$22) \int \frac{e^{3x} + 1}{e^x + 1} dx.$$

9.2. $\int f(x) dx = F(x) + C$

$$\int f(x) dx = F(x) + C,$$

დაშვება

$$\int f(ax+b) dx = \frac{1}{a} F(ax+b) + C \quad (a \neq 0).$$

9.3. გამოთვალეთ ინტეგრალები (ბასმის ხერხით):

- | | |
|---|--|
| 1) $\int \sqrt{3x-2} dx;$ | 2) $\int \frac{dx}{(2x-5)^3};$ |
| 3) $(4x-3)^{10} dx;$ | 4) $\int \sqrt[5]{1-5x} dx;$ |
| 5) $\int \frac{1}{\sqrt[3]{1-2x}} dx;$ | 6) $\int e^{5x} dx;$ |
| 7) $\int 3^{4x+5} dx;$ | 8) $\int (e^{-x} + e^{-2x}) dx;$ |
| 9) $\int (e^x - e^{-x})^2 dx;$ | 10) $\int \frac{\ln^3 x dx}{x};$ |
| 11) $\int \frac{e^{\frac{1}{x}}}{x^2} dx;$ | 12) $\int x e^{-x^2} dx;$ |
| 13) $\int \frac{dx}{x \ln^4 x};$ | 14) $\int \frac{e^x dx}{2+e^x};$ |
| 15) $\int \frac{dx}{e^x+1};$ | 16) $\int \frac{e^x - x^{-x}}{e^x + e^{-x}} dx;$ |
| 17) $\int e^{x^3} x^2 dx;$ | 18) $\int x(3x^2-1)^5 dx;$ |
| 19) $\int 2^{-x^4} x^3 dx;$ | 20) $\int \frac{\sqrt{1+\ln x}}{x} dx;$ |
| 21) $\int \frac{x dx}{3-2x^2};$ | 22) $\int \frac{x dx}{(1+x^2)^2};$ |
| 23) $\int x^2 \sqrt[3]{1+x^3} dx;$ | 24) $\int \frac{x dx}{\sqrt{1-x^2}};$ |
| 25) $\int \frac{e^{\sqrt{x}} dx}{\sqrt{x}};$ | 26) $\int \frac{4x+3}{(x-2)^3} dx;$ |
| 27) $\int \frac{\sqrt{1+\sqrt{x}}}{\sqrt{x}} dx;$ | 28) $\int \frac{\ln 2x}{\ln 4x} \frac{1}{x} dx;$ |

$$\begin{array}{ll}
29) \int \frac{dx}{(x+2)(x-1)}; & 30) \int \frac{1+x}{1-x} dx; \\
31) \int \frac{x^2}{1+x} dx; & 32) \int \frac{(1+x)^2}{1+x^2} dx; \\
33) \int x(1-x)^{10} dx; & 34) \int x\sqrt{2-5x} dx.
\end{array}$$

9.4. ნაწილობითი ინტეგრების ხერხით გამოთვალეთ შემდეგი ინტეგრალები:

$$\begin{array}{ll}
1) \int xe^x dx; & 2) \int x3^x dx; \\
3) \int \ln x dx; & 4) \int x^n \ln x dx \quad (n \neq -1); \\
5) \int \left(\frac{\ln x}{x}\right)^2 dx; & 6) \int \ln(x^2 + 1) dx; \\
7) \int \sqrt{x} \ln^2 x dx; & 8) \int xe^{-x} dx; \\
9) \int x^2 e^{-2x} dx; & 10) \int \ln^2 x dx; \\
11) \int \frac{\ln x}{\sqrt{x}} dx; & 12) \int e^{\sqrt{x}} dx; \\
13) \int \frac{\ln(\ln x) dx}{x}.
\end{array}$$

9.5. საწარმოს მარჟინალური დანახარჯი Q ერთეულის წარმოების დროს არის

$$0,03Q^2 + 4Q + 150 \quad (\text{დოლარი}).$$

გაიგეთ დანახარჯი პირველი 20 ერთეულის საწარმოებლად, თუ პროდუქციის პირველი ერთეულის წარმოებაზე იხარჯება 252,01 დოლარი.

9.6. მარჟინალური დანახარჯის ფუნქციას აქვს სახე

$$(MC) = K'(Q) = 6Q^2 - 10Q + 260,$$

სადაც $K(Q)$ არის მთლიანი დანახარჯის ფუნქცია, ხოლო Q — წარმოებული პროდუქციის რაოდენობა. ფიქსირებული დანახარჯია 15000 დოლარი. გამოთვალეთ დანახარჯი, რომელიც შეესაბამება პროდუქციის პირველი 10 ერთეულის წარმოებას.

9.7. მარჟინალური ამონაგების ფუნქციას აქვს სახე

$$(MR) = f(Q) = 80 - 0,4Q.$$

როგორი იქნება მთლიანი ამონაგები პირველი 50 ერთეულის გაყიდვის შემდეგ?

9.8. მარჟინალური დანახარჯის ფუნქციაა

$$(MC) = K'(Q) = 200 - 0,6Q + 0,09Q^2.$$

იპოვეთ დანახარჯის ფუნქციის ნაზრდი პროდუქციის მოცულობის 20 ერთეულიდან 50 ერთეულამდე გაზრდის შემთხვევაში.

9.9. ფირმამ დაადგინა, რომ მარჟინალური დანახარჯი Q ერთეულის საწარმოებლად უნდა იყოს $(MC) = 3,5 - 0,04Q$. გაიკეთ, რამდენი დაიხარჯება პროდუქციის პირველი 100 ერთეულის საწარმოებლად, თუ პროდუქციის პირველი 2 ერთეულის საწარმოებლად იხარჯება 180 დოლარი?

9.10. იპოვეთ მოხმარების ფუნქცია $H(Y)$, თუ ცნობილია, რომ მარჟინალური მიდრეკილება მოხმარებისადმი გამოისახება ტოლობით

$$(MPC) = H'(Y) = 0,6 + \frac{0,2}{\sqrt{Y}},$$

სადაც Y ეროვნული შემოსავალია. ამასთან, ცნობილია, რომ თუ ეროვნული შემოსავალი 100 ერთეულის ტოლია, მაშინ მოხმარება უტოლდება 65 ერთეულს.

- 9.11. იპოვეთ მოხმარების ფუნქცია, თუ ცნობილია, რომ მარყინალური მიდრეკილება დაზოგვისადმი გამოითვლება ტოლობით

$$(MPS) = 0,7 - 0,02\sqrt[3]{Y},$$

სადაც Y არის ეროვნული შემოსავალი. ამასთან, ცნობილია, რომ როდესაც ეროვნული შემოსავალი 64 ერთეულია, მაშინ მოხმარების ფუნქცია 40 ერთეულის ტოლია.

- 9.12. იპოვეთ (TC) მთლიანი დანახარჯი, თუ მარყინალური დანახარჯია

$$(MC) = 6e^{0,3Q},$$

ხოლო ფიქსირებული დანახარჯი 30 ერთეულის ტოლია.

- 9.13. მონოპოლისტური ფირმის მარყინალური ამონაგები მოიცემა ტოლობით:

ა) $(MR) = 100 - 4Q;$

ბ) $(MR) = 80 - 6Q;$

გ) $(MR) = \frac{12}{\sqrt{Q+9}};$

დ) $(MR) = \frac{3}{\sqrt{Q+4}}.$

აქ Q არის რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა (ანუ მოთხოვნა). იპოვეთ (TR) მთლიანი ამონაგების ფუნქცია და დაადგინეთ შესაბამისი მოთხოვნის ფუნქციის სახე.

9.14. გამოთვალეთ განსაზღვრული ინტეგრალი:

$$1) \int_1^4 (x^4 + \sqrt{x}) dx; \quad 2) \int_0^1 \sqrt{1+x} dx;$$

$$3) \int_0^4 (x^2 - 2\sqrt{x} + 8) dx; \quad 4) \int_4^7 \frac{dx}{(x-3)^2};$$

$$5) \int_1^6 \frac{dx}{\sqrt{x+3}}; \quad 6) \int_0^4 e^{\frac{x}{4}} dx;$$

$$7) \int_0^1 (1+3x)^3 dx; \quad 8) \int_1^4 \frac{1+\sqrt{x}}{x} dx;$$

$$9) \int_4^9 \frac{x-1}{\sqrt{x}+1} dx; \quad 10) \int_0^{10} \frac{dx}{\sqrt{16+2x}};$$

$$11) \int_0^9 \frac{dx}{\sqrt{x+16} - \sqrt{x}}; \quad 12) \int_1^2 \frac{e^{\frac{1}{x}}}{x^2} dx;$$

$$13) \int_e^{e^5} \frac{dx}{x \ln x}; \quad 14) \int_4^{16} \frac{dx}{\sqrt{x}-1};$$

$$15) \int_1^9 \frac{dx}{(1+\sqrt{x})^2}; \quad 16) \int_1^5 \frac{x dx}{\sqrt{5+4x}};$$

$$17) \int_0^1 x e^x dx; \quad 18) \int_1^{e^2} \ln x dx;$$

$$19) \int_0^1 x^2 e^x dx; \quad 20) \int_1^e \ln^2 x dx.$$

9.15. გამოთვალეთ იმ ფიგურის ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია შემდეგი წირებით:

$$y = 3x^2, \quad y = 0, \quad x = 1, \quad x = 2.$$

9.16. გამოთვალეთ ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია $y = 9 - x^2$ პარაბოლითა და $y = 0$ წრფით.

9.17. გამოთვალეთ იმ ფიგურის ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია შემდეგი წირებით:

ა) $y = \frac{1}{x}, \quad y = 0, \quad x = 2, \quad x = 10;$

ბ) $y = 3^x, \quad y = 0, \quad x = 3, \quad x = 4;$

გ) $y = \frac{2}{x^2}, \quad y = 0, \quad x = 3, \quad x = 9;$

დ) $y = 5^x, \quad y = 0, \quad x = 1, \quad x = 3;$

ე) $y = x^2, \quad y = 2 - x^2;$

ვ) $y = \ln x, \quad y = 0, \quad x = e^2.$

9.18. გამოთვალეთ ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია $y = e^x, y = e^{-x}$ წირებითა და $x = 1$ წრფით.

9.19. გამოთვალეთ ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია $y = x^2 + 4x$ პარაბოლითა და $y = x + 4$ წრფით.

9.20. გამოთვალეთ ფართობი, რომელიც შემოსაზღვრულია $y = x^2 - 2x$ პარაბოლითა და Ox ღერძით.

9.21. მოთხოვნის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე

$$P = f_D(Q) = 7 - \frac{Q}{5}.$$

ვიპოვოთ (CS) მომხმარებლის დანახოვი, როდესაც ვაჭრობის დონე $Q_0 = 20$ -ის ტოლია. ააგეთ მოთხოვნის მრუდი და გამოსახეთ მომხმარებლის დანახოვი ფართობის სახით.

9.22. მოთხოვნის ფუნქცია მოცემულია ტოლობით

$$P = f_D(Q) = 1000 - 0,4Q - 0,003Q^2.$$

იპოვეთ მომხმარებლის (CS) დანაზოგი, თუ ვაჭრობის დონე (მოთხოვნის დონე) 200-ის ტოლია.

9.23. მიწოდების ფუნქცია მოცემულია

$$P = f_S(Q) = 8 + \frac{1}{2} \sqrt{Q}$$

ფორმულით. იპოვეთ (PS) მწარმოებლის ამონაგების ნამუჭი, თუ პროდუქციის ერთეულის ფასია 10 დოლარი.

9.24. იპოვეთ მწარმოებლის ამონაგების ნამუჭი (PS), თუ მიწოდების ფუნქციაა

$$P = f_S(Q) = 40 + 8Q$$

და პროდუქციის ერთეულის ფასია 200 დოლარი.

9.25. ფირმა კვირაში ყიდის 2000 მაცივარს — თითოეულს 250 დოლარად. მარკეტინგი აჩვენებს, რომ 10 დოლარით ფასის შემცირება იწვევს გაყიდული მაცივრების რაოდენობის ზრდას კვირაში 200 ერთეულით. იპოვეთ მოთხოვნის ფუნქცია და გამოთვალეთ (CS) მომხმარებლის დანაზოგი, თუ ვაჭრობის დონეა $Q_0 = 220$. იგულისხმება, რომ მოთხოვნის ფუნქცია წრფივია.

9.26. მიწოდების ფუნქციაა

$$P = f_S(Q) = 2Q^2 + 4Q + 1.$$

იპოვეთ (PS) მწარმოებლის ამონაგების ნამუჭი, თუ $Q_0 = 8$.

9.27. მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = f_D(Q) = \frac{200}{Q + 3}.$$

იპოვეთ (CS) მომხმარებლის დანახოვი, თუ პროდუქციის ერთი ერთეული იყიდება 10 დოლარად.

9.28. გამოთვალეთ (PS) მწარმოებლის ამონაგების ნამეტი, თუ მიწოდების ფუნქციაა

$$P = f_S(Q) = 2 + 0,03Q^2,$$

ხოლო ვაჭრობა ხდება $Q_0 = 10$ დონეზე. ააგეთ შესაბამისი ნახაზი და გამოსახეთ მწარმოებლის ამონაგების ნამეტი ფართობის სახით.

9.29. სატრასტო ფონდი 6 წლის განმავლობაში იხდის თანხას 3000 დოლარის ინტენსივობით. სარგებლის წლიური რთული განაკვეთია 10 % (უწყვეტი დარიცხვის წესით). გადახდა იწყება ერთი წლის შემდეგ. იპოვეთ სატრასტო ფონდის დისკონტირებული ღირებულება.

9.30. სატრასტო ფონდმა უნდა იმოქმედოს 5 წლის განმავლობაში და შემდგომი 5 წლის განმავლობაში უნდა იხადოს თანხა 10000 დოლარის ინტენსივობით. სარგებლის წლიური რთული განაკვეთია 14 % (უწყვეტი დარიცხვის წესით). იპოვეთ სატრასტო ფონდის თანხა პირველი სამი წლის შემდეგ.

9.31. სპორტსმენი აფორმებს სახელფასო კონტრაქტს. ამ კონტრაქტის პირობების თანახმად იგი მიიღებს თანხას, რომელიც იზრდება თანაბრად, უწყვეტად და წრფივად წლიური 100000 დოლარიდან და აღწევს 225000 დოლარს

5 წლის შემდეგ. ამიტომ მისი ხელფასი არის

$$F(t) = 100000 \left(1 + \frac{1}{4} t \right) \text{ დოლარი.}$$

იპოვეთ კონტრაქტის საწყისი ღირებულება, რომელიც შეესაბამება სარგებლის წლიური რთული 7%-იანი განაკვეთით უწყვეტ დარიცხვას. (მითითება: ისარგებლეთ იმით, რომ ხელფასის ზრდის სიჩქარეა (ინტენსივობაა) $F'(t) = 25000$.)

9.32. იპოვეთ უკადრო მუდმივი 8000 დოლარის ნაკადის საწყისი ღირებულება, თუ სარგებლის რთული წლიური განაკვეთია 8% უწყვეტი დარიცხვით.

9.33. ინვესტიციის ნაკადი მოცემულია ტოლობით $I(t) = 6000t^{\frac{1}{2}}$. გამოთვალეთ:

- ა) სააქციო კაპიტალის დაგროვება პირველი წლის ბოლოდან მეცხრე წლის ბოლომდე;
- ბ) რამდენი წელია საჭირო იმისთვის, რომ სააქციო კაპიტალმა გადააჭარბოს 12000 დოლარს?

9.34. ინვესტიციის ნაკადი მოცემულია ტოლობით

$$I(t) = 12000t^{\frac{1}{3}}.$$

- ა) იპოვეთ კაპიტალის დაგროვება მეორე წლის ბოლოდან მეშვიდე წლის ბოლომდე;
- ბ) რამდენი წლის შემდეგ გადააჭარბებს საინვესტიციო კაპიტალი 90000 დოლარს?

9.35. იპოვეთ კაპიტალის დაგროვება $t = T_1$ მომენტიდან $t = T_2$ მომენტამდე, თუ ინვესტიციის ნაკადი მოცემულია ტოლობებით:

- ა) $I(t) = At^\alpha$;

$$b) I(t) = Ae^{at}$$

(A და a დადებითი მუდმივებია).

- 9.36. სატრასტო ფონდი მოქმედებს დღეიდან 10 წლის განმავლობაში და იხდის თანხას 5000 დოლარის ინტენსივობით შემდგომი 7 წლის განმავლობაში. სარგებლის რთული წლიური განაკვეთია 12% (უწყვეტი დარიცხვით). იპოვეთ:

- ა) სატრასტო ფონდის საწყისი ღირებულება;
- ბ) სატრასტო ფონდის სიდიდე პირველი 5 წლის შემდეგ;
- გ) სატრასტო ფონდის საწყისი ღირებულება, თუ ნაცვლად 7 წლისა იგი იმოქმედებს მუდმივად (შემოსულობის დროის განმავლობაში).

- 9.37. გარკვეული პროდუქციის მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = f_D(Q) = 1000 - 0,2Q - 0,06Q^2.$$

იპოვეთ მომხმარებლის დანაზოგი, თუ ვაჭრობის დონეა $Q_0 = 100$.

- 9.38. იპოვეთ მომხმარებლის (CS) დანაზოგი, როდესაც ერთეულის ფასია $P_0 = 6$, ხოლო მოთხოვნის ფუნქცია:

$$a) P = 38 - 4Q;$$

$$b) P = \frac{18}{\sqrt{Q+2}}.$$

- 9.39. იპოვეთ მომხმარებლის (CS) დანაზოგი, თუ მოთხოვნის $f_D(Q)$ ფუნქცია და მოთხოვნის Q_0 დონე მოცემულია შემდეგი სახით:

$$a) P = f_D(Q) = 60 - 5Q, \quad Q_0 = 8;$$

$$b) P = f_D(Q) = 50 - Q^2, \quad Q_0 = 6.$$

9.40. თავისუფალი კონკურენციის პირობებში ბაზრის მოთხოვნის ფუნქციაა

$$P = f_D(Q) = 30 - 2Q,$$

ხოლო მიწოდების ფუნქცია —

$$P = f_S(Q) = 10 + 2Q.$$

გამოთვალეთ (Q_0 დონეზე ვაჭრობისას):

- ა) მომხმარებლის (CS) დანახოვი;
- ბ) მწარმოებლის (PS) ამონაკების ნამეტი.

9.41. მოცემულია მოთხოვნის ფუნქცია

$$P = f_D(Q) = -Q^2 - 5Q + 70$$

და მიწოდების ფუნქცია

$$P = f_S(Q) = Q^2 + 3Q + 6.$$

ცნობილია, რომ გვაქვს სრულყოფილი კონკურენცია.

იპოვეთ (Q_0 დონეზე ვაჭრობისას):

- ა) მომხმარებლის (CS) დანახოვი;
- ბ) მწარმოებლის (PS) ამონაკების ნამეტი.

9.42. გამოთვალეთ არასაკუთრივი ინტეგრალები:

- | | |
|--|--|
| 1) $\int_2^{+\infty} \frac{dx}{x};$ | 2) $\int_3^{+\infty} \frac{dx}{x^3};$ |
| 3) $\int_0^{+\infty} 3^{-x} dx;$ | 4) $\int_2^{+\infty} \frac{dx}{x};$ |
| 5) $\int_1^{+\infty} \frac{dx}{\sqrt{(1+x)^3}};$ | 6) $\int_{-\infty}^{+\infty} \frac{2x}{(1+x^2)^4} dx;$ |

- 7) $\int_{-\infty}^0 e^{5x} dx;$
- 8) $\int_{-\infty}^1 \frac{dx}{(3x-5)^2};$
- 9) $\int_2^{+\infty} \frac{dx}{x \ln x};$
- 10) $\int_5^{+\infty} \frac{dx}{x \ln^2 x};$
- 11) $\int_1^{+\infty} \frac{\ln x dx}{x^2};$
- 12) $\int_0^{16} \frac{1}{\sqrt[4]{x}} dx;$
- 13) $\int_0^{36} \frac{dx}{\sqrt{x}};$
- 14) $\int_0^3 \frac{x dx}{\sqrt{9-x^2}};$
- 15) $\int_0^2 \frac{dx}{\sqrt{4-x^2}};$
- 16) $\int_0^1 \frac{x dx}{\sqrt{1-x^2}};$
- 17) $\int_{-1}^0 \frac{e^{-\frac{1}{x}}}{x^2} dx;$
- 18) $\int_0^1 \ln x dx;$
- 19) $\int_1^3 \frac{x dx}{\sqrt{x-1}};$
- 20) $\int_1^{e^2} \frac{dx}{x\sqrt{\ln x}};$
- 21) $\int_1^2 \frac{dx}{x \ln x};$
- 22) $\int_{-1}^1 \frac{dx}{x^2};$
- 23) $\int_{-1}^1 \frac{dx}{\sqrt[3]{x^2}};$
- 24) $\int_0^3 \frac{dx}{\sqrt[3]{(x-2)^2}}.$

**დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის
ელემენტები**

10.1. აკმაყოფილებს თუ არა მოცემულ დიფერენციალურ განტოლებას $y = f(x)$ ფუნქცია?

1) $xy' = 2y, \quad y = 5x^2;$

2) $y'' = x^2 + y^2, \quad y = \frac{1}{x};$

3) $y'' - 2y' + y = 0, \quad y = xe^x;$

4) $y'' - 4y = 0, \quad y = e^{2x};$

5) $(x - y + 1)y' = 1, \quad y = x + 6e^x;$

6) $x + y + x \frac{dy}{dx} = 0, \quad y = e^{3x} + 4;$

7) $y'' - 2y' + y = 0, \quad y = (1 + 2x)e^x;$

8) $y'' + 2y = 0, \quad y = xe^x.$

10.2. იპოვეთ დიფერენციალური განტოლების ზოგადი ამონახსენი:

1) $y' = 2x + 5;$

2) $y' = x + e^{2x};$

3) $y' = 6;$

4) $y' = 4^x + 3;$

5) $y'' = 3 - 2x;$

$$6) y'' = 6x + e^{2x}.$$

10.3. იპოვეთ დიფერენციალური განტოლების კერძო ამონახსენი:

$$1) y' = 4x^3 + 3x^2, \text{ თუ } y(0) = 1;$$

$$2) y' = xe^x, \text{ თუ } y(0) = 2;$$

$$3) y' = \frac{2x}{1+x^2}, \text{ თუ } y(1) = 0;$$

$$4) y' = \ln x, \text{ თუ } y(1) = 1;$$

$$5) y'' = 3x^2 + 4, \text{ თუ } y(0) = 2, y'(0) = 1;$$

